



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის  
შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
„გამოყენებითი გენეტიკა“

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 2.09.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 8.10.2021

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი გენეტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მეცნიერებათა მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511 ბიოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №297, 02.08.2012

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავაძე - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქედელიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია - შპს „ჯეოჰოსპიტალის“ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა ძიძიგური - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „გამოყენებითი გენეტიკა“ აკრედიტაცია მოიპოვა 2012 წელს. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას გამოყენებითი გენეტიკაში.

რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გამოყენებითი გენეტიკა“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო რესურსები დარგში თანამედროვე მიღწევების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგის - ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ბერნარდ მისოფის მიერ გაკეთებული გარე შეფასება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები გამოყენებითი გენეტიკის დარგში, რომლებიც:

- დნმ-ის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეძლებენ ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, ასევე მედიცინის სფეროში აქტუალური საკითხის შესწავლას ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
- შეძლებენ მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდებით მიღებული მონაცემების სრულყოფილ დამუშავებას და შედეგების ინტერპრეტაციას დასმული ამოცანიდან გამომდინარე;
- შეძლებენ ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან;
- აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური და გადაწყვეტილებების ავტონომიურად მიღების უნარებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სტრუქტურა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი, არჩევითი სასწავლო კურსებისგან და სამაგისტრო ნაშრომისგან. სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია სამ ბლოკად: კომპუნიკაციის, მეთოდური და ცოცხალი სისტემების. პროგრამისთვის განკუთვნილი 120 კრედიტი გადანაწილებულია მის შემადგენელ კომპონენტებზე შემდეგი სახით:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 კრედიტი
- კომუნიკაციის ბლოკი - 6 კრედიტი
- ცოცხალი სისტემების ბლოკი - მინ. 18 კრედიტი
- მეთოდური ბლოკი - მინ. 12 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - მაქ. 12 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „მეცნიერების მაგისტრი გამოყენებითი გენეტიკაში“.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს ყველა იმ დაწესებულებას, სადაც გამოიყენება მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდები, საბაზო დნმ - ზე დაფუძნებული კვლევის მეთოდები (დნმ გამოყოფა ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილისგან, პჯრ (PCR) რეაქცია სასურველი დნმ ლოკუსის ამპლიფიკაციის მიზნით, დნმ ფრაგმენტების სიგრძის შეფასება, ასევე ახალი თაობის სექვენირება (დნმ თანმიმდევრობის წაკითხვა) და გენოტიპირება. აღნიშნული სექტორი მოიცავს პირველ რიგში სადიაგნოსტიკო ცენტრებს, ასევე ფარმაცევტულ კომპანიებს, კვლევით ლაბორატორიებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზმების ან ველური, მაგალითად ინვაზიური ორგანიზმების შემსწავლელ ლაბორატორიებს და სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიებს.

პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 4 21 0000815327) მიხედვით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე

წლის 2 სექტემბერს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 3 სექტემბერს უსდ-ში ვიზიტით. ვიზიტამდე დისტანციურად ჩატარა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ და მოხდა ფუნქციების გადანაწილება ჯგუფის წევრებს შორის.

2 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ესპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. 3 სექტემბერს უსდ-ში ვიზიტით შეფასდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**სტანდარტი 1:** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

**სტანდარტი 2:** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

**სტანდარტი 3:** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 4:** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

**სტანდარტი 5:** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2. სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა იმგვარად, რომ ჩანდეს რამდენად გაზომვადია შედეგი.

1.2. სასურველი იქნება კურიკულუმის რუკაში განისაზღვროს სასწავლო კურსების სატატუსი (I-გაცნობა, P-გაღრმავება, M-განმტკიცება) შედეგთან მიმართებაში

2.1. სასურველია წინაპირობაში ინგლისური ენის დონის მითითება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები გამოყენებითი გენეტიკის დარგში, რომლებიც:

- დნმ-ის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეძლებენ ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბიოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო, ასევე მედიცინის სფეროში აქტუალური საკითხის შესწავლას ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
- შეძლებენ მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდებით მიღებული მონაცემების სრულყოფილ დამუშავებას და შედეგების ინტერპრეტაციას დასმული ამოცანიდან გამომდინარე;
- შეძლებენ ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან;
- აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური და გადაწყვეტილებების ავტონომიურად მიღების უნარებით.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.

პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დამსაქმებლებისგან და კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და დარგში საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულად ჩაითვალია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დნმ-თან მანიპულაციის პროცესში უახლესი მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენებას, ბიოუსაფრთხოების და ბიოეთიკის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია კვლევის და სწავლების ინტეგრაციით ახალი ვალიდური ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას.

პროგრამის მიზანი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია პროგრამის დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზი, რომლის მიხედვითაც პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს ყველა იმ დაწესებულებას, სადაც გამოიყენება მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდები, საბაზო დნმ - ზე დაფუძნებული კვლევის მეთოდები (დნმ გამოყოფა ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილისგან, პჯრ (PCR) რეაქცია სასურველი დნმ ლოკუსის ამპლიფიკაციის მიზნით, დნმ ფრაგმენტების სიგრძის შეფასება, ასევე ახალი თაობის სექვენირება (დნმ თანმიმდევრობის წაკითხვა) და გენოტიპირება. აღნიშნული სექტორი მოიცავს პირველ რიგში სადიაგნოსტიკო ცენტრებს, ასევე ფარმაცევტულ კომპანიებს, კვლევით ლაბორატორიებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზმების ან ველური, მაგალითად ინვაზიური ორგანიზმების შემსწავლელ ლაბორატორიებს და სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიებს. ანალიზში მითითებული ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ჩამოთვლილ დაწესებულებებში პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილებამ ჩაატარა ფოკუს-ჯგუფი პოტენციურ დამსაქმებლებთან (გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი; ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორია). კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა პროგრამის შესახებ, დამსაქმებელთა მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პერსპექტივებისა და არსებული პრაქტიკების შესწავლა. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს

საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ სამაგისტრო პროგრამას და გამოეთქვათ მოსაზრებები პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურის, სასწავლო დაკვლევითი კომპონენტების, ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. კვლევით მიღებული შედეგები აისახა პროგრამაში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა შედგა დამსაქმებელთა ჯგუფთან (საქართველოს უნივერსიტეტის იმუნოლოგიისა და ინფექციური დაავადებების დეპარტამენტის პროფესორი; კლინიკა ნეოლაბის დირექტორი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC), ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის და გენომური კვლევების დეპარტამენტის უფროსი; ზოოპარკის დირექტორი), რომლებმაც ისაუბრეს პროგრამის მნიშვნელობის შესახებ და პროგრამის კურსდამთავრებულების შესაბამისი კომპეტენციებით თავიანთ დაწესებულებებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ არის დამსაქმებელი, ასევე არის დამკვეთიც, კერძოდ, საჭიროებისამებრ უსდ დაწესებულებისთვის აკეთებს გენეტიკურ კვლევებს.

რაც შეეხება საერთაშორისო ტენდენციებს, პროგრამის მუშა ჯგუფის მიერ განხილული იყო უცხოური ანალოგები (ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ვალენსიის უნივერსიტეტი, არიზონას უნივერსიტეტი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი და სხვა). გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი(მათ შორის პროგრამის უცხოელი ხელმძღვანელი) თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში (მაგალითად, კავკასიის სიცოცხლის ბარკოდინგის პროექტი (CaBOL) და ფოლქსვაგენისფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - "გენომური კვლევების ხელშეწყობა") და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს. მნიშვნელოვანი იყო პროგრამის გარე შეფასება, რომელიც გაკეთდა ბონის უნივერსიტეტის პროფესორის, გერმანიის კანცლერის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბერნარდ მისოფის მიერ

სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან. რაც დასტურდება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით, კერძოდ, სპეციალობით დასაქმებულია 80%. კურსდამთავრებულთა 28%-მა სწავლა გააგრძელა მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში., მათ შორის, ერთი კურსდამთავრებული DAAD-ის პროგრამის დაფინანსებით აგრძელებს სწავლას და კვლევას გოტინგენის უნივერსიტეტში.

ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია, რადგან ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ([www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემაში „არგუსი“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა საგანმანათლებლო პროგრამა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლები ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- პროგრამის შრომით ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზი
- საერთაშორისო ანალოგების სია
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნის შესაბამისობა ასახულია პროგრამის მიზნის რუკაში.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „მეცნიერებათა მაგისტრი გამოყენებითი გენეტიკაში“.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს

1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა გენეტიკის დარგში თანამედროვე მიღწევების, თეორიების, მეთოდების და გენეტიკური კვლევების გამოყენების არეალის შესახებ.
2. შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა არჩეული მიმართულებით (განსხვავებული ცოცხალი ორგანიზმების - ცხოველების, მცენარეების, ადამიანის - გენეტიკური კვლევა, პოპულაციების გენეტიკური სტრუქტურის ანალიზი, მიკრო და მაკრო ევოლუციის კვლევა) თანამედროვე რელევანტური მეთოდების, შესაბამისი აპარატურის გამოყენებით და მიღებული შედეგების თეორიული ანალიზი;
3. შეუძლია მონაცემების ანალიზი სათანადო ანალიტიკური და სტატისტიკური მეთოდების და რელევანტური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
4. კვლევის პროცესში იცავს პროფესიულ ეთიკას და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
5. შეუძლია ლაბორატორიაში მუშაობა შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
6. შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგების, იდეებისა და მოსაზრებების ეფექტური კომუნიკაცია პროფესიული და აკადემიური საზოგადოების წინაშე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
7. შეუძლია სწავლისა და კვლევის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი პროცესების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა იმგვარად, რომ ჩანდეს რამდენად გაზომვადია შედეგი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათ მიერ გათვალისწინებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევებით მიღებული შედეგები, უცხოელი კოლეგის პროფესორ ბერნარდ მისოფის შეფასებები და საერთაშორისო პრაქტიკაც.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არის პროცესი, რომლის შედეგადაც

დგინდება სტუდენტების მიერ სწავლის მიღწეული შედეგები და ღონისძიებები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

უსდ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის იყენებს პროგრამის განხორციელების შეფასების წესს და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. დაგეგმილია სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემების შეგროვება მოხდება სამიზნე ნიშნულებისა და პროგრამის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის განხორციელებით. არაპირდაპირი მეთოდით შეფასებისას გამოყენებული იქნება პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთან ფოკუს ჯგუფების გამოკითხვების შედეგები.

პირდაპირი და არაპირდაპირიმეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება სამაგისტრო პროგრამისპერიოდულ შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობის პერიოდში პროგრამის სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა კონსულტაციები და დახმარება მიიღო პროგრამის კურიკულუმის ექსპერტისგან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია პროგრამის შეფასების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდული, რომელსაც ახორციელებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციას აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით.

პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის (პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირის) რუკა, რომელშიც მოცემულია მოცემული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, სასურველი იქნება რუკაში განსაზღვრული იყოს სასწავლო კურსების სატატუსი (I-გაცნობა, P-გაღრმავება, M-განმტკიცება) შედეგთან მიმართებაში

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამაგისტრო პროგრამა
  - პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა
  - სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
  - პროგრამის შრომით ბაზარზე მოთხოვნადობის ანალიზი და დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
  - უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
  - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
  - პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
  - აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
  - საერთაშორისო ანალოგების სია
  - ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა იმგვარად, რომ ჩანდეს რამდენად გაზომვადია შედეგი.
  - სასურველია კურიკულუმის რუკაში განისაზღვროს სასწავლო კურსების სატატუსი (I-გაცნობა, P-გაღრმავება, M-განმტკიცება) შედეგთან მიმართებაში
  -

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**



<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
---

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

**2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისშეფასებისსადეკლარაცია**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გამოყენებითი გენეტიკა“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩარიცხვას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით პროგრამაზე სწავლის მსურველს სასურველია ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, გარემოს ან ფსიქოლოგიის სფეროში, ასევე დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის/გასაუბრების საფუძველზე. უსდ-ს განსაზღვრული აქვს აღნიშნულ პროგრამაზე შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ჩატარების პირობები და შეფასების სისტემა, რომლის მიხედვით გამოცდაზე კანდიდატმა უნდა გამოავლინოს დარგობრივი ცოდნა, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, მოტივაცია დაკომუნიკაციის უნარი. გამოცდაზე ყურადღება გამახვილებულია ზოგადი ბიოლოგიის დაგენეტიკის საბაზისო საკითხებზე.</p> <p>დარგობრივი ტექსტის ანალიზით მოწმდება ინგლისური ენის დარგობრივ ცოდნა. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა ისაუბრეს პროგრამაზე მიღებისას ენის კომპეტენციის შეფასების პროცესზე და აღნიშნეს, რომ დარგობრივი ინგლისური ენის ცოდნის დონე შეაფასა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა პროფესორმა კორტ ანდერსონმა, რომელიც პროგრამის შემადგენელ რამდენიმე ძირითად სასწავლო კურსს ანხორციელებს ინგლისურ ენაზე.</p> <p>წინაპირობაში არ არის მითითებული ინგლისური ენის ცოდნის კონკრეტულად რომელ დონეს უნდა ფლობდეს მაგისტრანტობის მსურველი. სასრუველი იქნებოდა მისი მითითება.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია</p>
--

<p>პროგრამის მიღების პირობების შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, დაწესებულება ატარებს მაგისტრანტობის მსურველებთან ონლაინ საინფორმაციო შეხვედრებს და „ღია კარის დღეს“.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ კურიკულუმი(საქადალდე #1)</li> <li>• შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა(საქადალდე #1)</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია წინაპირობაში ინგლისური ენის დონის მითითება.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p>
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გენეტიკა“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების გამოყენებით. პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, უცხოელი კოლეგის მიერ გაკეთებული გარე შეფასება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, შედეგად პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ჩამოყალიბდა საბოლოო სახით.</p> <p>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს. სწავლების საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად აქცენტი კეთდება კვლევითი უნარების, ლაბორატორიული უნარ-ჩვევების და მონაცემთა ანალიზის უნარის განვითარებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „მეცნიერებათა მაგისტრი გამოყენებითი გენეტიკაში“.</p> <p>პროგრამის სტრუქტურა შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სტრუქტურა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი, არჩევითი სასწავლო კურსებისგან და სამაგისტრო ნაშრომისგან. სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია სამ ბლოკად: კომპუნენტი, მეთოდური და ცოცხალი სისტემების. პროგრამისთვის განკუთვნილი 120 კრედიტი გადანაწილებულია მის შემადგენელ კომპონენტებზე შემდეგი სახით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 კრედიტი</li> <li>• კომპუნენტი ბლოკი - 6 კრედიტი</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ცოცხალი სისტემების ბლოკი - მინ. 18 კრედიტი</li> <li>• მეთოდური ბლოკი – მინ. 12 კრედიტი</li> <li>• არჩევითი სასწავლო კურსები - მაქ. 12 კრედიტი</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი</li> </ul> <p>პროგრამის შემადგენელ თითოეულ ბლოკში მოცემულია სასწავლო კურსების გარკვეული რაოდენობა მაგ: ცოცხალი სისტემების ბლოკში - 8, მეთოდურ ბლოკში - 7, რაც სტუდენტს ფართო არჩევანის შესაძლებლობას აძლევს პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებთან ერთად.</p> <p>გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს საჭიროების შემთხვევაში კრედიტების გარეშე გაიაროს საბაკალავრო პროგრამიდან სასწავლო კურსები.</p> <p>არჩევითიკურსისსანაცვლოდსტუდენტსაქვსუფლებაგაიაროსკურსებიმეთოდურიანცოცხალისისტემებისბლოკებიდან.</p> <p>პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა დალაგებული. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. საჭიროებიდან გამომდინარე რამდენიმე სასწავლო კურსში განსაზღვრულია წინაპირობები.</p> <p>პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). გათვალისწინებულია გარე და შიდა შეფასებით მიღებული რეკომენდაციები/რჩევები. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარე შემფასებლისა და სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე დაფიქსირებული ერთ-ერთი რჩევა იყო არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა, რაც გაითვალისწინა პროგრამის სამუშაო ჯგუფმა და გაზარდა არჩევითობის შესაძლებლობა.</p> <p>უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (კურიკულუმი) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <a href="http://www.iliauni.edu.ge">www.iliauni.edu.ge</a></p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები - იხ. საქაღალდე #1</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,</li> <li>• დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები (საქაღალდე #5)</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისკრიტერიუმები - იხ. საქაღალდე #5</li> <li>• პროგრამის სწავლის შედეგების რუკა - იხ. საქაღალდე #1</li> <li>• სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები - იხ. საქაღალდე #2</li> <li>• სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფების ანგარიშები - იხ. საქაღალდე #5;</li> <li>• პროგრამის გარე შეფასება - იხ. საქაღალდე#7</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="http://iliauni.edu.ge">iliauni.edu.ge</a></li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუნდებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია სამ ბლოკად: კომუნიკაციის, მეთოდური და ცოცხალი სისტემების.

თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია და განსხვავებულია სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა. თითოეულ სასწავლო კურსში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, გამახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, ძირითადი თემები სწავლის შედეგები და კოპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი), შეფასების წესი, ლიტარტურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირების მიხედვით.

სილაბუსში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები. სასწავლო კურსების მიზნები კავშირშია სწავლის შედეგებთან, სწავლება -სწავლის მეთოდებთან და შეფასების სისტემასთან, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი კავშირშია პროგრამის მიზანთან.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე ასახავს დარგში არსებულ მიღწევებს. ლიტარტურად სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია სამეცნიერო სტატიები, რომლებიც დაკავშირებულია სფეროში არსებულ უახლეს კვლევებთან და ასახავს ამ კვლევებით მიღებულ მნიშვნელოვან შედეგებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით), რაც მემოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების დროს. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდეერების სახით არგუსზე ან elearning-ზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების ეფექტურობის შეფასების მექანიზმი და შესაბამისი კითხვარის გამოყენებით ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთაგამოკითხვას, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაკურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა.გამოკითხვის შედეგები გამოიყენება პროგრამის შემადგენელი კომპონენტების გაუმჯობესებისთვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი <http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/>
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა -
- <http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი <http://elearning.iliauni.edu.ge>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- კურსების შეფასების კითხვარი დამექანიზმი
- ინტერვიუების შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მთავარი ამოცანაა სტუდენტებში ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობის, გენეტიკურ ლაბორატორიაში მუშაობისთვის აუცილებელი კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების, კვლევებით მიღებული მონაცემების დამუშავებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან კვლევით პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და საშუალებას აძლევს მას განვითარებული უნარები გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შესრულებისას.</p> <p>პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ლაბორატორიული უსაფრთხოების დებულება და შესაბამისი ინსტრუქცია, რომელსაც სტუდენტები ეცნობიან ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.</p> <p>დებულების მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტებზე შექმნილია ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, მის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები და მკვლევარები, რომლის დანიშნულებაც არსებული კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების უსაფრთხოების წესების მონიტორინგი.</p> <p>შუალედური შეფასების ფორმები კვლევით პროექტის მომზადება, ესსე და პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა ავითარებს ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობის, მიღებული მონაცემების დამუშავების, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარებს.</p> <p>ტრანსფერულ უნარებს შორის ხაზგასასმელია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვა დამათი მნიშვნელობის გაცნობიერება. სტუდენტებში ამ უნარის განვითარებას ადასტურებს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე Turnitin სისტემის გამოყენებით შემოწმების პროცესი.</p> <p>სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია სტუდენტს განუვითაროს ეთიკის ნორმების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. ის ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის შექმნის მიზნით კვლევის უახლესი მიდგომების და მეთოდების გამოყენებაზე. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს უვითარდება კვლევის შედეგების ეფექტური კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.</p> <p>პროგრამის შემადგენელი კომპონენტია „სამაგისტრო სემინარი“, რომელიც ითვალისწინებს</p>
---

მაგისტრანტის მიერ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების ათვისებისა და კვლევით პროექტებში მონაწილეობით შეძენილი უნარების გამოყენებით სამაგისტრო კვლევის დაგეგმვას ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და შემდგომში მისი დამოუკიდებლად განხორციელებას საბოლოო შედეგების მიღწევით. კვლევის განხორციელებისას სტუდენტი ხელმძღვანელს წარუდგენს კვლევის პროცესის შესახებ პროგრესის ანგარიშებს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობები და მიღწეული შედეგები. ამასთან, ანგარიშში სტუდენტი ახდენს კვლევითი პროცესის შეფასებას და განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს. აღნიშნული აღწერილია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, საკითხის შესახებ ვრცლად ისაუბრეს ინტერვიუს დროს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა. სამეცნიერო ხელმძღვანელთა კომუნიკაციის და ერთობრივად დაგეგმილი კვლევითი აქტივობების მნიშვნელობასა და პროდუქტიულობაზე, დადებით მხარეებზე ისაუბრეს მაგისტრანტებმა და კურსდამთავრებულებმა. განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთეს იმ კვლევით და ტრანსფერულ უნარებზე, გამოცდილებებზე, რომლებიც პროგრამაზე სწავლის პერიოდში შეიძინეს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
  - სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
  - ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
  - სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ანგარიში
  - ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**  
**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**  
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული სწავლება/სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს (მაგისტრატურა), კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული შედეგების მიღწევას.  
 პროგრამაში გამოყენებულია სწავლება/სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექციები და სემინარები; ლაბორატორიული სამუშაო; პრაქტიკული სამუშაო, მათ შორის ველზე; პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში; ანალიზი და სინთეზი; სუპერვიზია; რეფლექსია; დემონსტრირების მეთოდი.  
 აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომლის მისიაა აკადემიური განათლებისა და კვლევის ხარისხის გაზრდა და ამ მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მკვლევართათვის

პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ცენტრი პერსონალს თავაზობს ტრენინგ-მოდულებს, მათ შორის სწავლება-სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. აღნიშნული დოკუმენტი მიხედვით სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

აკადემიური პერსონალი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან შეთანხმებით. ეს შეიძლება იყოს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად საოფისე საათების ფარგლებში. კონსულტაციისთვის გამოიყენება არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ ან კორპორატიული ფოსტა. აღნიშნული დაადასტურდა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისადამსწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი <http://writingcentre.iliauni.edu.ge/>
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ინტერვიუების (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ) შედეგები

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შეფასების სისტემა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, გამჭვირვალა და გამოიყენება ყველა სტუდენტთან მიმართებაში, პროცედურების დაცვით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007.05.01). სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური და

დასკვნითი შეფასებებისგან. პროგრამა ითვალისწინებს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების გასაზომად განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსში სტუდენტი ფასდება შემდეგი კომპონენტით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ნ/და ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე. შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად, წერიტი დავალების შესრულება, კვლევითი პროექტის წარდგენა, რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება და ა.შ.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს.

შეფასების სისტემა (კომპონენტები და მეთოდები) ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება სწავლის შედეგების მიღწევადობით და აკადემიური მოსწრების ანალიზით. გარდა ამისა, შეფასება მრავალკომპონენტანია და თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია შეფასების კრიტერიუმები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტები, მეთოდები და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. გარდა ამისა, სასწავლო კურსის განმხორციელებელი პერსონალი პირველსავე ლექციაზე სილაბუსის გაცნობისას დეტალურად განიხილავს შეფასების სისტემას. აღნიშნული დაადასტურა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს და აღნიშნეს, რომ ლექტორის მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია არ ეხება მხოლოდ სილაბუსის ამ ნაწილს, ისინი გადიან კონსულტაციებს პროფესორებთან ყველა მათთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში სასწავლო კურსის მსვლელობის დროს წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, როგორც მცირე ჯგუფებად, ასევე ინდივიდუალურად და ამისთვის იყენებენ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემას „არგუს“, ან საკონსულტაციო შეხვედრებს, ან კორპორატიულ ფოსტას და სრულყოფილად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა დავალების შესრულების დროს მიღებულ შედეგებზე და რეკომენდაციებს შედეგების გაუმჯობესებისთვის.

ამასთანავე, როგორც წესი, ლექტორები უზრუნველყოფენ შეფასების უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას სტუდენტებისთვის, რაც მოქნილად ხორციელდება ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით და საშუალებას აძლევს სტუდენტს, თვალი ადევნოს და დროული რეაგირება მოახდინოს შედეგებზე.

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე

თანხის გადახდის განსაზღვრის წესში გაწერილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში მოითხოვოს ნაშრომის გადახედვა.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, პლაგიატზე შემოწმების, რევენზირების, დაცვის, შეფასების წესები და კომპონენტები თავისი შეფასების კრიტერიუმებით. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით და ითვალისწინებს შემდეგ შეფასების კომპონენტებს: 1. ხელმძვანელის შეფასება (პროექტის გეგმა და პროგრესის ანგარიშები) - 20 ქულა; 2. რევენზენტის შეფასება - 50 ქულა. (თურევენზენტი ორია, მაშინ ამ კომპონენტის შეფასება საშუალო არითმეტიკულსწარმოადგენდეს); 3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა (სამაგისტრო



ნაშრომის დაცვის ქულაწარმოადგენს წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს). აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებზე, პროცესზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი. კვლევა ხორციელდება „არგუსის“ ელექტრონული გამოკითხვისმექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებიწარმოადგენენ და ხორციელდება ყოველსემესტრულად, აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე. სისტემა „არგუსი“ ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისგენერირებას და მათ ვიზუალიზაციას დიაგრამების სახით. აღნიშნული მონაცემებისსტუდენტების გამოკითხვის შედეგებთან ერთად იძლევა სასწავლო კურსებისმრავალხრივად შეფასების შესაძლებლობას. კვლევის შედეგები (სტუდენტების გამოკითხვის და მათი აკადემიური მოსწრებისმაჩვენებლები), გამოიყენება ლექტორების, პროგრამის ხელმძღვანელების დაფაკულტეტებისმიერ პროგრამის კომპონენტების/სასწავლო კურსების დახვეწასა დაგანვითარებისთვის, სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისკრიტერიუმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთაშეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებითკურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი -
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC)სამოქმედო გეგმა
- სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი
- სტუდენტთაგამოკითხვისინსტრუმენტიკურსებისშეფასებისთვის
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p><b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b></p>
<p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებითი კონსულტაციები ჰქონდეთ ლექტორებთან სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით. კონსულტაციები შეიძლება იყოს, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური. სილაბუსებში გაწერილია ინდივიდუალური კონსულტაციები, როგორც პირისპირ და ასევე ელექტრონულად არგუსის (არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა) საშუალებით.</p> <p>გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში. გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ რუსთაველის ფონდის საგრანტო კონკურსში წარადგინონ საკუთარი კვლევითი პროექტები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე არის სისტემა, რომლის მიხედვით როდესაც პროფესორს ან მკვლევარს რომელიმე კვლევითი ინსტიტუტიდან აქვს რუსთაველის სახელმწიფო ფონდის ან საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი, რეკომენდაციას წარმოადგენს, რომ აუცილებლად არგუსში გადააგზავნოს სრული ინფორმაცია ამ პროექტზე სტუდენტების აყვანის შესაძლებლობის, სტუდენტების რაოდენობის მითითებით და იმის მითითებით თუ რა დონის პროექტი შეიძლება შეასრულოს სტუდენტმა დიდი პროექტის ფარგლებში. ეს ინფორმაცია მიეწოდება უკლებლივ ყველა სტუდენტს არგუსით, მაგრამ ამის გარდა სტუდენტების ინფორმირებისთვის იყენებენ სოციალურ მედიას, ელექტრონულ ფოსტას ან უშუალო ურთიერთობით კომუნიკაციის მეთოდს. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი სამუშაო პროფილის მიხედვით მიიღონ მონაწილეობა კვლევით პროექტებში.</p> <p>გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა აქვთ, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტს მიღმა.</p> <p>საგარეო ურთიერთობის სამსახური კოორდინირებას უწევს საერთაშორისო მობილობის პროცესს. სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის და არგუსის მეშვეობით ეგზავნებათ ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. ასევე დასაქმების კუთხით ვაკანსიების შესახებ.</p> <p>სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩართული იყვნენ ERASMUS+ და DAAD (German Academic Exchange Service) გაცვლითი პროგრამებში, ასევე შეუძლიათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, უშუალოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის კუთხით, გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემდეგ უნივერსიტეტებთან და კვლევით ორგანიზაციებთან: Hacettepe University (თურქეთი), ლუბლიანას უნივერსიტეტი (სლოვენია), International Barcode of Life (კანადური არაკომერციული კორპორაცია), Scientific and Practical Centre for Bioresources National Academy of Sciences (SPCB) (ბელარუსი), Zoological Research Museum Alexander Koenig (კვლევითი ინსტიტუტი, გერმანია), რაც აღნიშნული ფაკულტეტის და მათ შორის გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყვნენ საერთაშორისო მობილობის პროცესში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება;</li> <li>• სასწავლო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;</li> <li>• სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის</li> </ul>

<p>დებულება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;</li> <li>• მემორანდუმები;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b></p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის და ნაშრომის მომზადების პროცედურებს. სტუდენტი თავად ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც შეიძლება იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;</li> <li>• პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში/დარგში დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამისი/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება;</li> <li>• შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;</li> <li>• შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემაჯავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.</li> </ul> <p>სტუდენტის ხელმძღვანელთან კონსულტაციის სიხშირე განსაზღვრულია კვირაში მინიმუმ 2 საათით. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს, როგორც კვლევითი პროცესით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კსელში ინტეგრირების თუ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების კუთხით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;</li> <li>• ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი; აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 22-ს, მათ შორის 10 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, თითოეული მათგანი აფილირებულია ილიას უნივერსიტეტთან. ამას გარდა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 5 მოწვეული პერსონალი, 3 მეცნიერი. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი - პროფესორი კორტ ანდერსონი და პროფესორი დავით თარხნიშვილი. პროგრამის ორივე ხელმძღვანელს გააჩნია მოლეკულურ-გენეტიკურ და გენეტიკურ მიმართულებებში მრავალწლიანი სამეცნიერო და აკადემიური, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და არიან შესაბამისი მიმართულებების წამყვანი სპეციალისტები. მათი მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო გამოცდილება შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების მოთხოვნებს. ისინი ამავდროულად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში; პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ინტრვიუებით. პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს გენეტიკის და მოლეკულური ბიოლოგიის სხვადასხვა დარგში მრავალწლიანი სასწავლო და კვლევითი გამოცდილება, შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია პასუხობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის დონეს და თანხვედრაშია მოქმედი კანონმდებლობის

მოთხოვნებთან, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არსებული თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 25/5 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სწავლებაში ასევე ჩართულია 5 უცხოელი აკადემიური/მოწვეული პირი, რომელთაგან 4 მონაწილეობს მიმდინარე კვლევებში. პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საკმარისია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების თანახმად ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით, ხოლო მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში კი - მათი კვალიფიკაციითა და გამოქვეყნებული შრომებით.

პროგრამის ფარგლებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (მათ შორის, ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის გენომიკის დეპარტამენტის უფროსის) კვლევითი პროფილი და მიღწევები იძლევა მაგისტრანტების ეფექტური ხელმძღვანელობის და სამაგისტრო კვლევების წარმოების შესაძლებლობას.

პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტი და კოორდინატორი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას. პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ეთმობა ბიოუსაფრთხოების საკითხებს. ლაბორატორიული უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს რეკრუტირებულ პერსონალს შესაბამისი სახის ტრენინგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა
- ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის დებულება
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები
- გამოცხადებული კონკურსები <https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/vakansiebi/dasaqmeba>
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს და ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები არის პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურების საფუძველი;

2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ხარისხიანი კვლევების სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, რის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში.

განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას.

პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგების შეთავაზებას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- გაცვლითი პროგრამები: <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvlitiโปรแกรมeb>
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურის, და სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი

<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევითი ინსტიტუტების დებულებები - ინახება იურიდიულ სამსახურში</li> <li>• პასკალის პრემია <a href="https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/projects/paskalis-premia">https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/projects/paskalis-premia</a></li> <li>• ინტერვიუების შედეგები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გენეტიკა“ უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;</li> <li>• პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით: ბიობანკი; ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი; გენეტიკის ლაბორატორია;</li> <li>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;</li> </ul> <p>უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით. სრულად არის აღჭურვილი მოლეკულური ლაბორატორია (PCR დანადრავები, ცენტრიფუგები, გენეტიკური ანალიზატორი ABI Genetic Analyzer, დნმ კონცენტრაციის გასაზომი აპარატურა და სხვა ხელსაწყოები), აღჭურვის პროცესშია გენომური ლაბორატორია (Illumina Miniseq x 2 და შესაბამისი აპარატურა);</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით (სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამისად).</p> <p>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და მოიცავს: სამკითხველო დარბაზებს; ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; კომპიუტერული რესურს ცენტრებს; შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს; წიგნსაცავებს და სხვ.</p> <p>ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა, თუ სხვა ტიპის სივრცეებში.</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია.</p>
---

<p>ხელმისაწვდომია საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციები, ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და სხვ. რესურსი: Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; Ulrich's Index; ERIH PLUS; EBSCOHost; Latindex Catalogue; და სხვ.</p> <p>ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა“ და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ“. რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის იმ რესურსებისა და სერვისების გაცნობას, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესში.</p> <p>საუნივერსიტეტო ინტერაქცია ხორციელდება ელექტრონული ფოსტის და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის „არგუსის“ გამოყენებით. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით. პროგრამა მხარდაჭერილია ისეთი სისტემებით, როგორცაც Moodle და Turnitin.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი"</li> <li>• უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <a href="http://library.iliauni.edu.ge/">http://library.iliauni.edu.ge/</a></li> <li>• ელექტრონული სწავლების პორტალი: <a href="http://elearning.iliauni.edu.ge/">http://elearning.iliauni.edu.ge/</a>, Turnitin</li> <li>• მემორანდუმები და მხარდაჭერის წერილი პარტნიორ ორგანიზაციებთან</li> <li>• ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები - ინახება შესაბამის სამსახურებში.</li> <li>• სერვისების შეფასების კვლევა</li> <li>• ინტერვიუების შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას.</p> <p>პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს.</p> <p>პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს</p>



პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. უცხოელი კოლეგის რეკომენდაციით მოხდა პროგრამის ბიუჯეტის დაზუსტება შემდეგი მუხლების მიხედვით: სასწავლო ლაბორატორიული ხარჯი, კვლევის ხარჯი, აპარატურის განახლების და აპარატურის მოვლა-შენახვის ხარჯი.

კვლევითი ხარჯების დამატებითი ფინანსირება საჭიროების შემთხვევაში ხდება ინსტიტუტების კვლევითი ბიუჯეტიდან და სამეცნიერო პროექტების დაფინანსებიდან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის ადმინისტრირებას.

პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტების (ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის) და ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა. პროგრამაში ჩართული პროფესორები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი საველე გასვლების და ხარჯვადი მასალის შექმნა ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, ასევე, გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტში - კავკასიის ცოცხალი სამყაროს გენეტიკური ბარკოდირება (CaBOL) და ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში - "გენომური კვლევების ხელშეწყობა".

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის ბიუჯეტი;
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
  - თვითშეფასების კითხვარი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი(ები), ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კურიკულუმის ექსპერტი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი, რომელიც მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ანალიზს და რევიზიას დარგში უახლესი ტენდენციების, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით; სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაცემების ანალიზს სხვადასხვა ჭრილში; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის შეფასებას; სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასებას მოცემული პროგრამის მიზნებთან და ა.შ., ხორციელდება დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასების ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენებით (თუმცა არ შემოიფარგლება მათით):

- ✓ სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ;
- ✓ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ;
- ✓ დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებისა და შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს PDCA ციკლით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის შესაბამისად, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირებები დასაზღვევია გაზომვადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით);
2. შემუშავებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმები (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სამიზნე ნიშნულებით);
3. განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს პროგრამებთან შედარება;
4. ჩატარებულია სისტემური კვლევები (მათ შორის, გამოყენებითი გენეტიკის დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; პროგრამის კურსდამთავრებულების კვლევა; საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების დასაქმების კვლევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და სხვ.) პროგრამის ფარგლებში და წარმოდგენილია შედეგების ანალიზი.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალი იცნობს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს და აქტიურად იყენენ ჩართული პროგრამის შეფასებისა და განახლების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, ისინი აქტიურად

<p>თანამშრომლობდნენ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ამავე მიზნით სემესტრის ბოლოს ხელმძღვანელები ხვდებიან სტუდენტებს მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაცნობისა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ასახვის მიზნით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;</li> <li>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;</li> <li>• სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;</li> <li>• დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>თვითშეფასების ანგარიშით, შესაბამისი დანართებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავება-დახვეწის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა უცხოელი კოლეგა პროფ. ბერნარდ მისოფი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანიის კანცლერის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ბონის ზოოლოგიური კვლევითი მუზეუმის და ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი). უცხოელი ექსპერტის მიერ პროგრამა დაწვრილებით იქნა შესწავლილი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დეტალური დასკვნითა და პროგრამაში ასახული შესაბამისი ცვლილებებით.</p> <p>გარდა ზემოაღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;</li> <li>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• უცხოელი პროფესორის გარე შეფასება;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფა, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, ხორციელდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის დოკუმენტში გაწერილი პროცედურებისა და მექანიზმების შესაბამისად, რაც თავის მხრივ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის პოლიტიკის ნაწილია. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის და გაზიარებულობის, ანგარიშვალდებულების, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების და თავისუფლების პრინციპებს, ხორციელდება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, უნივერსიტეტის მისიის, ხედვების, სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმებისა და ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო/რეგულაციებისა და სხვა დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების განხორციელების სისტემა. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი“-ს მეშვეობით ყოველსემესტრულად მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო თუ კვლევითი პროცესის, მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასება სტუდენტთა მიერ. გარკვეული პერიოდულობით ტარდება სატელეფონო გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. ხდება გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება პროგრამისა და უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, მისი განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შედარების პრაქტიკა წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.</p> <p>შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისა და თვითშეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გამართულია. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და შესაბამისი ვალდებულებები გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”;</li> <li>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის ანგარიშები ;</li> <li>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;</li> </ul>
--

<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის განხორციელების შეფასების წესი.</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<b>X</b>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გენეტიკა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

*ნ. კახიანი*

ნათია ლაჭავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

*ნ. კახიანი*

ნინო ქედელიძე

დავით ჯიქია

*ქ. ხიზანიძე*

ქრისტინე ჩიხლაძე

*ქ. ხიზანიძე*

გვანცა მიძიგური

*გ. მიძიგური*